



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი



MES 0 22 0000269554



16/03/2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (ერასმუს+) ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 დადგენილების, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/199 დადგენილების და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის, ბატონ დევი ხვედელიანის 2022 წლის 14 მარტის სამსახურებრივი ბარათის (251264) საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2021/2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) და 2022/2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში

მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ლევან კლიმიაშვილი – ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- დავით მახვილაძე - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- დევი ხვედელიანი - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- დავით თავხელიძე - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
- თამარ წერეთელი - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი აბრამიშვილი - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ბექა მაისურაძე - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი ნანიტაშვილი - სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი/.

2. დაევალოს კომისიას:

- ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს 2022 წლის 30 აპრილამდე.
 - ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 და №01-05-04/199 დადგენილებებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;
 - გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.
3. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი
გურგენიძე დავით

